


ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები,
საზოგადოებრივი გაუწყობელი
და პანდემია



EMC

ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები,
საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

თბილისი, 2020

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland in Georgia

დოკუმენტი მომზადებულია შვეიცარიის საელჩოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში - „ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის და უფლებების დაცვის გაძლიერება კვლევის, განათლების, ადვოკატირების და ნდობის მშენებლობის გზით“.

დოკუმენტის შინაარსი მხოლოდ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) პასუხისმგებლობაა და არც ერთ შემთხვევაში არ ასახავს შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის პოზიციებს.

კვლევის ავტორი: ლაშა ქავთარაძე

კვლევის ასისტენტი: აითაჯ ხალილი

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

‘უმცირესობათა გადასარჩენად რა შეიძლება იყოს უკეთესი სტრატეგია, ვიდრე თავად უმცირესობის მიერ საკუთარი მედიისვე განვითარება თავიანთ ენაზე თავიანთი მოსაზრებების გასავრცელებლად?’

სტივენ ჰაროლდ რიგინსი, 1992

შესავალი

2020 წლის 23 მარტს, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ორი რაიონი, მარნეული და ბოლნისი, ახალი კორონავირუსის შიდა გავრცელების შემთხვევის გამო ჩაიკეტა (რადიო თავისუფლება, 2020). მსუბუქი პანიკა, რომელიც ქვეყანაში ვირუსის უკონტროლო გავრცელების საფრთხეს მოჰყვა, მალევე ქსენოფობიისა და ნაციონალიზმის მორიგ ტალღაში გადაიზარდა, რაც ყველაზე ნათლად სოციალურ ქსელ Facebook-ზე მომხმარებლების კომენტარებში გამოვლინდა (ქევანიშვილი, 2020). „წითელ ზონებად“ გამოცხადებულ რაიონებში ჩაკეტილ მოსახლეობას მომდევნო დღეების განმავლობაში ერთდროულად უწევდა კორონავირუსთან, ეკონომიკური სიდუხჭირის შიშსა და ეთნო-ნაციონალიზმთან ბრძოლა. იმის მაგივრად, რომ ადგილობრივი აქტივისტების ენერჯია კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე, ვირუსის პრევენციასა და ეკონომიკური სირთულეების თავიდან არიდებაზე დახარჯულიყო, მათ მოუხდათ ინტერნეტ კამპანიის წამოწყება, რომლის მთავარი მესიჯიც იყო - „მე ვარ საქართველოს მოქალაქე“.

მიუხედავად ხშირად გაგონილი ფრაზისა, რომ კორონავირუსით გამოწვეული საფრთხის წინაშე ყველანი თანასწორები ვართ, სტატისტიკამ აჩვენა, რომ დაავადებით გამოწვეული ზიანი საკმაოდ არაერთგვაროვანია სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისათვის. აღნიშნული ზიანი დამოკიდებულია წინაპირობებზე, რომლებიც საზოგადოებაში ამა თუ იმ ჯგუფს გააჩნია. მაგალითად, ამ თემაზე ერთ-ერთმა ადრეულმა კვლევამ აჩვენა, რომ აშშ-ისა და დიდ ბრიტანეთში კორონავირუსით გამოწვეული სიკვდილიანობა გაცილებით უფრო მაღალია შავკანიან და ეთნიკურად შერეულ ადამიანებში (White & Nafilyan, 2020 Gross et al., 2020). ამას ხელს უწყობს სოციო-ეკონომიკური უთანასწორობა, ჯანმრთელობის უკვე არსებული პრობლემები ამ ჯგუფებში და დისკრიმინაცია, რომელსაც ისინი სისტემურად განიცდიან.

თავად ის ფაქტი, რომ კორონავირუსის შიდა გავრცელების პირველი შემთხვევა ეთნიკურად არაქართველებით დასახლებულ რეგიონში დაფიქსირდა შესაძლოა უბრალო შემთხვევითობა იყოს, თუმცა, ამასთანავე, ამ რეგიონის ინფორმაციულ პერიფერიად არსებობაზეც მიუთითებდეს. ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევაზე ზრუნვა სხვადასხვა აქტორმა, მათ შორის მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოებამ თუ მედიამ მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მარნეული და ბოლნისი უკვე „წითელ ზონად“ იყო გამოცხადებული.

„პანდემიამ და მარნეული/ბოლნისის მუნიციპალიტეტების ჩაკეტვამ ჩვენს საზოგადოებაში არსებული ორი უჩინარი საკითხი გააშიშვლა. პირველი, ქვეყნის შიგნით არსებული უთანასწორობისა და რასიზმის ღრმა და უჩინარი ხაზები. მეორე, ცენტრსა და პერიფერიებს, უმრავლესობასა და უმცირესობას, ელიტებსა და ჩაგრულებს შორის კავშირების ტრივიალური ბუნება,“ - ვკითხულობთ ბოლნისელი აქტივისტის ელმადდინ მამედლის ბლოგპოსტში (მამედლი, 2020).

ქართული ენის არ ცოდნის გამო, ამ რეგიონებში ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო ხშირად არაქართული ტელემაუწყებლობებია. აღნიშნული საკითხი, როგორც წესი, ეროვნული უსაფრთხოების ანდა ვიწრო ნაციონალისტურ ჭრილში განიხილება ხოლმე, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებზე არაქართულენოვანმა მაუწყებლობამ შესაძლოა ქვეყნის ინტერესებისათვის დამაზიანებელი ზეგავლენა მოახდინოს. აპელირება ხდება ხოლმე აღნიშნული ჯგუფების ეროვნულ თვითშეგნებასა, თუ იდენტობის ჩამოყალიბებაზე. პრობლემის მხოლოდ ამ კუთხით დანახვა, გარდა იმისა რომ საზოგადოების ამ ჯგუფის ინსტრუმენტალიზებას ახდენს და სრულად უკარგავს ჯგუფის წევრებს აგენტობას, ასევე ივიწყებს ინფორმაციულ ვაკუუმში არსებობის სოციალურ და ჰუმანიტარულ საფასურს, რომლის გადახდაც ამ რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს უწევთ ხოლმე.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, სათანადო ინფორმირებულობის პირობებში, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ შიდა გავრცელება მაინცდამაინც ამ რეგიონში არ დაწყებულიყო? რამდენად დროული იყო ზემოთ ნახსენები აქტორების ქმედებები და შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მოვლენების სხვაგვარი განვითარება, დროული ინფორმირებისა და ზომების ადრეულ ეტაპზე

გატარების პირობებში? შეეძლო თუ არა მედიას პოზიტიური წვლილის შეტანა ამ პროცესებში და რატომ შეიძლებოდა, რომ ამ თვალსაზრისით საზოგადოებრივი მაუწყებელს განსაკუთრებული როლი შეესრულებინა?

აღნიშნული შეკითხვების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე შევეცდებით, რომ წინამდებარე მცირე სამაგიდო კვლევაში ფოკუსირება მოხდეს იმაზე თუ რა ინფორმაციას აწვდიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ეთნიკურ უმცირესობებს, კერძოდ კი იმ ადამიანებს, ვისთვისაც ინფორმაციის ქართულად მიღება ენობრივი ბარიერის გამო შეუძლებელია. კვლევის მომდევნო ნაწილში მოკლედ მიმოვიხილავთ გამოყენებულ მეთოდოლოგიას, რომელიც ძირითადად მეორადი წყაროების ანალიზსა და ერთთვიან მედიამონიტორინგს ეყრდნობა. კვლევის საფუძვლად აღებულია 5 ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ მოქალაქესთან ჩატარებული ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაცია და სწორედ მათ მიერ მოწოდებული პრობლემური საკითხების შუქზეა გაანალიზებული საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებების მუშაობა ერთი თვის განმავლობაში. შემდგომ ქვეთავებში ყურადღება იქნება გამახვილებული, ზოგადად, საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეის მნიშვნელობაზე, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემაზე საქართველოს ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ მოქალაქეებში, ვისთვისაც ქართული ენა მშობლიური ენა არ არის. კვლევის ბოლო ნაწილები კი დაეთმობა საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობის გაანალიზებასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

მეთოდოლოგია და კვლევის შეზღუდვები

წინამდებარე კვლევაზე მუშაობა 2019 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან პრე-ინტერვიუებით დაიწყო. საწყის ეტაპზე, კვლევის ინფორმანტი იყო 2 რესპონდენტი სომხური თემიდან, 3 რესპონდენტი აზერბაიჯანული თემიდან და ერთი სფეროს ექსპერტი. ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა გაგვიზიარეს ის ძირითადი პრობლემები, რომელსაც ისინი ზოგადად ხედავდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობაში ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში. მოგვიანებით, კორონავირუსის გავრცელებისას, საზოგადოებრივი მაუწყებლის

განსაკუთრებულმა როლმა და მუშაობის სპეციფიკამ შექმნა სათანადო წინაპირობა, რომ აღნიშნული ინსტიტუციის მუშაობის ზოგადი პრობლემების ნაცვლად, ფოკუსირება მოგვეხდინა ცალკეულ თემასა და დროის კონკრეტულ მონაკვეთზე.

ბუნებრივია, ამ მცირე სამაგიდო კვლევის ფარგლებში შესავალში დასმული შეკითხვების ყველა ასპექტს დაწვრილებით ვერ ვუპასუხებთ. სხვადასხვა შეზღუდვის, მათ შორის დროის, რესურსებისა თუ ფორმატის გათვალისწინებით, აღნიშნული კვლევა შეეცდება, რომ ყურადღება გაამახვილოს როლზე, რომელიც მედიამ უნდა შეასრულოს ასეთ დროს ეთნიკური უმცირესობების უკეთ ინფორმირებისათვის. უფრო კონკრეტულად კი, ქვემოთ მოტანილი ანალიზი ფოკუსირდება საგანგებო მდგომარეობის დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაზე. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მუშაობაზე დაკვირვებით შევეცდებით, გამოვკვეთოთ ის საკითხები, რომელთა გაუმჯობესებაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის გაზრდას და მეორე მხრივ, თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კანონით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხების მოსაძიებლად ძირითადად კვლევის ორი მეთოდი იქნა გამოყენებული. (1) მეორადი წყაროების ანალიზით შევეცადეთ, გვეჩვენებინა საზოგადოებრივი მაუწყებლის განსაკუთრებული როლი ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების საკითხში. გარდა ამისა, მოკლედ აღვწერთ თუ რას აკეთებს აღნიშნული ინსტიტუცია ამ კუთხით საქართველოში. (2) საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებების ერთთვიანი არქივის მედიამონიტორინგის მეშვეობით შევეცადეთ, გვეჩვენებინა ის პრობლემები, რომლებიც უშუალოდ კორონავირუსის პანდემიის პერიოდში გამოიკვეთა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ერთგვარ დროით წყალგამყოფად გამოვიყენეთ 2020 წლის 23 მარტი ანუ დღე, როდესაც კორონავირუსის შიდა გავრცელების პირველი ფაქტის დაფიქსირების შემდგომ ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში კარანტინი გამოცხადდა. მონიტორინგის ფარგლებში მოხდა 23 მარტამდე ორი კვირით ადრე და ორი კვირის შემდგომ ყველა საინფორმაციო გამოშვება 15:00, 18:00 და 21:00 საათზე (გარდა კვირა დღისა, როდესაც საღამოს ეთერში საკვირაო გადაცემა „ახალი კვირა“ გადის და გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეთერი

ეთმობოდა მოამბის სპეციალურ გამოშვებებს). კარანტინის გამოცხადებამდე 2 კვირის მანძილზე გასული საინფორმაციო გამოშვებები მეტ-ნაკლებად გვამლევს სურათს, გაატარა თუ არა პირველმა არხმა რაიმე სახის განსაკუთრებული ღონისძიებები საინფორმაციო გამოშვებების მეშვეობით ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებისათვის. კარანტინის გამოცხადების შემდგომ კი საინტერესო იყო თუ რამდენად სტრუქტურირებულად და სიღრმისეულად მიეწოდებოდათ ინფორმაცია სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოქალაქეებს ჯერ ცალკეული რეგიონების, შემდგომ კი მთელი ქვეყნის მასშტაბით საკარანტინო ზომების გამოცხადების შესახებ.

დასაწყისშივე უნდა გაესვას ხაზი კვლევის მიზანს. კვლევის მიზანია არა საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებული ადამიანების პერსონალური კრიტიკა, მათი საქმიანობის უგულვებელყოფა ან მათი შრომის დაკნინება (განსაკუთრებით იმ ადამიანებისა, რომლებიც ჩართულები არიან პროექტ „მრავალფეროვან საქართველოში“), არამედ ანალიზი იმისა თუ რატომ ითხოვდა, მაგალითად, კოვიდ-19-ის შემთხვევების გამოვლენის დროს, ზოგიერთი ადგილობრივი აზერბაიჯანელი აქტივისტი საზოგადოებრივი მაუწყებლისაგან უფრო მეტ აქტიურობას ინფორმაციის გავრცელების კუთხით; აღნიშნული ინსტიტუციის რომელი ქმედებები შეიძლება შეფასდეს დაგვიანებულად და დამატებით რისი გაკეთება იყო შესაძლებელი, რათა მომხდარიყო იმ მოქალაქეთა უკეთ ინფორმირება, რომლებიც ენის არცოდნის გამო განსაკუთრებულად მოწყვლადები აღმოჩნდნენ პანდემიის წინაშე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა და ეთნიკური უმცირესობები

საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა პოლიტიკურად არანეიტრალური იდეაა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ჰყავს მას მოწინააღმდეგეები პოლიტიკური იდეოლოგიების სხვადასხვა სპექტრიდან. ეს იდეა, რომელიც ჯერ კიდევ ადრეული XX საუკუნეებში გაჩნდა, თავისი სახელიდან გამომდინარე, ამოსავალ წერტილად იღებს საზოგადოებას და არა საჯარო ცხოვრების რომელიმე ცალკეულ აქტორს, იქნება ეს პოლიტიკური ხელისუფლება თუ ეკონომიკური და კულტურული ელიტა. შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებშია, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს ადგილობრივი მედია ბაზრის ფორმირება, პოლიტიკური გავლენები მედიაორგანიზაციებზე კვლავაც განსაკუთრებით საგრძნობია, ხოლო საჯარო სიკეთის ცნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. როგორც პრაისი და რაბოი (2011) აღნიშნავენ, საზოგადოებრივი მაუწყებლის სერვისი სახელმწიფო და კომერციულ მაუწყებლობას შორის გარდამავალ, არც თუ მარტივ პოზიციაზეა თავისი არსით. ერთი მხრივ, იგი ცდილობს, თავი დააღწიოს სახელმწიფო მაუწყებლობის პირობებში არსებული პირდაპირი კონტროლის მარწუხებს, მეორე მხრივ კი, ცდილობს, გვერდი აუაროს ე.წ. „საბაზრო ეკონომიკური ძალების“ გავლენებს.

კვლავაც პრაისსა და რაბოის (2011) რომ დავესესხოთ, საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა ოთხ მთავარ პრინციპს ეფუძნება: *უნივერსალურობას, მრავალფეროვნებას, დამოუკიდებლობასა და გამორჩეულობას*. უნივერსალურობის პრინციპი გულისხმობს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქვეყნის ყოველი მოქალაქისათვის. მრავალფეროვნების პრინციპი მიემართება როგორც საეთერო პროგრამათა მრავალფეროვნებას, ასევე სამიზნე აუდიტორიასა და თემებს, რომელზეც ის მუშაობს. დამოუკიდებლობის პრინციპი ყურადღებას ამახვილებს ე.წ. იდეათა ფორუმის ფუნქციის შესრულებაზე საზოგადოებაში, სადაც კომერციული და პარტიული პოლიტიკის გავლენებისაგან თავისუფლად ხდება ინფორმაციის გავრცელება, აზრის გამოხატვა თუ კრიტიკა. გამორჩეულობის პრინციპი კი გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული სერვისი განსხვავდება მედიაბაზარზე არსებული სხვა მოთამაშეებისაგან და არ არის დამოკიდებული

სარეკლამო ბაზრის ტენდენციებზე, არ გაურბის არაპოპულარულ გადაწყვეტილებებსა თუ თემებს და მისი მუშაობის საბოლოო მიზანი არა რეიტინგი, არამედ ხალხისათვის მსახურებაა (Price & Raboy, 2011).

საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეის დადმასვლაზე არაერთი მკვლევარი წერდა ჯერ კიდევ გვიან მე-20 საუკუნეში. მკვლევრები საუბრობდნენ გამოწვევებზე, რომელსაც ქმნის მედიუმების გაციფრულება და შერწყმა (ე.წ. კონვერგენცია), აუდიტორიის ფრაგმენტაცია და ტრანსნაციონალიზმი, დაფინანსების მყიფე მოდელები და იდეოლოგიური რეგრესი (Horsti, Hulten & Titley, 2014). აღნიშნული იდეის აქტუალურობის დაკარგვის საფრთხეს ხშირად უკავშირებდნენ სოციალური და ციფრული მედიის მასობრივ გავრცელებას (Arriaza Ibarra, Nowak & Kuhn, 2015). ზოგიერთი მკვლევარი იზიარებდა შეხედულებას, რომ ციფრულმა მედიამ გარკვეულწილად საზოგადოებრივ მაუწყებელს ჩამოართვა საზოგადოებრივის ფუნქცია და დაიკავა მისი ადგილი, ვინაიდან ე.წ. web 2.0-ის შექმნის შემდეგ, მომხმარებლებს თავად შეეძლოთ მედიაკონტენტის წარმოებაში მონაწილეობის მიღება. თუმცა, მალევე ისიც ცხადი გახდა, რომ სოციალურმა და ციფრულმა მედიამ ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით სიკეთეებთან ერთად, ბევრი ახალი პრობლემაც გააჩინა, მათ შორის გავრცელებული ინფორმაციის ხარისხის, სანდოობისა და ერთგვარი ინფორმაციული სიჭარბის სახით. შესაბამისად, ბრიტანელი მკვლევრის დევიდ მარკანდის პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, მზარდი ინდივიდუალიზაციისა და კომერციალიზმის ეპოქაში კიდევ უფრო აქტუალური ხდება საჯარო სივრცეების გაჩენა (Murdock, 2004).

კომუნიკაციების მკვლევარი გრაჰამ მერდოკი 2004 წელს მონრეალის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში აღნიშნავდა:

„დროა, დავასრულოთ საზოგადოებრივ მაუწყებელზე როგორც ცალკე მდგომ ორგანიზაციაზე ფიქრი და ნაცვლად ამისა, ის უნდა დავინახოთ როგორც პრინციპულად მნიშვნელოვანი კვანძი საზოგადოებრივ და სამოქალაქო ინიციატივათა ქსელში, რომელიც აღმოცენების პროცესშია და რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის საფუძველს გაზიარებული კულტურული სივრცისთვის, ციფრული საჯარო სიკეთეებისთვის (digital commons), რომელსაც შეუძლია, გააჩინოს ახლებური საზოგადოებრივი კავშირები და წინ აღუდგეს იზოლაციის მუდმივ წნეხს, რომელიც მომდინარეობს,

ერთი მხრივ, კომერციული ინტერესებიდან და მეორე მხრივ, ახალი მორალური ესენციალიზმისაგან.“

(Murdock, 2004)

საზოგადოებრივი მაუწყებლის მერდოკისეული გაგება ეხმიანება პრაისისა და რაბოის (2011) მიერ ნახსენებ უნივერსალურობისა და გამორჩეულობის პრინციპებს და აქცენტს აკეთებს საზოგადოებრივ მაუწყებელზე როგორც საჯარო სივრცეზე, სიკეთეზე, რომელიც ყველასია და ამავდროულად, ცალკე აღებული, არავის ეკუთვნის.

სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლის ამგვარი გაგება უნდა იყოს დღეს აქტუალური. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ინსტიტუციის საქმიანობას ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფებთან (მათ შორის ეთნიკურ უმცირესობებთან) მიმართებაში განვიხილავთ. დღეს არსებული პრაქტიკით, გაცილებით უფრო ხშირად საუბრობენ საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეის მრავალფეროვნების პრინციპზე, ვიდრე უნივერსალურობის ანდა გამორჩეულობის პრინციპებზე. ამისი კარგი ილუსტრაციაა თავად იმ პროექტის სახელიც - “მრავალფეროვანი საქართველო” - რომელიც საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში ხორციელდება ეთნიკური უმცირესობის ინფორმირებისა და ინტეგრაციის მიზნით. მრავალფეროვნების პრინციპის მნიშვნელობა უდავოა, თუმცა ისიც ცალსახაა, რომ საჯარო სივრცეზე საუბრისას აქცენტირება მხოლოდ საზოგადოების მრავალფეროვნებაზე არასაკმარისია და აუცილებელია საუბარი ე.წ. უნივერსალურობის პრინციპზეც, რაც საშუალებას მისცემდა საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს, რომ თანაბრად ესარგებლათ აღნიშნული სივრცით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეის ამგვარი გაგება ხელს შეუწყობდა აღნიშნული ინსტიტუციის მუშაობას ყველასთვის და ყველას ინტერესების გათვალისწინებით, რისი საჭიროებაც ცალსახაა, როდესაც საუბარი საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შეეხება.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მკვლევარი ტომას აკერლუნდი თავის კვლევაში საუბრობს სირთულეებზე, რომელსაც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან მედიიდან ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით. „ენის

ცოდნასთან დაკავშირებული ბარიერები ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობებს, რომ [მედიის აქტიურ მომხმარებლებად] იქცნენ, ხოლო უმცირესობათა ენებზე პროგრამების სიმცირე უცხოურ მედიასაშუალებებს აქცევს მათთვის გაცილებით უფრო საინტერესოდ. ამჟამად, მცირე ზომის, ადგილობრივი გამოცემები და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ცდილობენ აღნიშნული ნაპრალის ამოვსებას,“ - ვკითხულობთ კვლევაში, რომელიც 2012 წელს მომზადდა (Akerlund, 2012: 27).

2012 წლის შემდგომ, ცხადია, შეიცვალა მდგომარეობა როგორც მედიაბაზარზე, ასევე კვლევაში ნახსენები აქტორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობაში, რაზეც ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ. თუმცა, ის, რაც ჯერ კიდევ უცვლელია, არის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციული ხელმისაწვდომობის პრობლემა.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის და ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველოს” მიერ 2019 წელს გამოქვეყნებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილს კვლავაც მწვავედ უდგას ქვეყნის ცხოვრებაში ინტეგრირების პრობლემა (ISSA, 2019). კერძოდ, საუბარია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებზე, განსაკუთრებით კი მათზე, ვინც არ იცის ქართული ენა, რის გამოც ვერ ახერხებს პოლიტიკურ ცხოვრებაში, არჩევით ორგანოებსა და სამთავრობო უწყებებში სრულფასოვან ჩართულობას. კვლევა გამოყოფს მასმედიის განსაკუთრებულ როლს აღნიშნულ პროცესებში მათი ინტეგრირების თვალსაზრისით და საუბრობს კონკრეტულ რეკომენდაციებზე, რომლის გათვალისწინებაც ცალკეულ აქტორებს მათ შორის საჯარო უწყებებს, მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებას მართებს (იქვე).

კვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას თითქმის ყოველდღიურად იღებს ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების მხოლოდ 21,4 %, ხოლო აზერბაიჯანელების - 13,7 %. გარდა ამისა, კვლევაში ვკითხულობთ:

„სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ვლინდება ქართული ენის ცოდნისა და სიახლეების მიღების ცვლადებს შორის. საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციას ყოველდღიურად იღებენ ის

რესპონდენტები, რომელთა ქართული ენის ცოდნის დონე ყველაზე მაღალია (ქართული ენის ცოდნის ინდექსის საშუალო - 20.35). ხოლო, სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ძირითადად კვლევის ის მონაწილეები იღებენ (თითქმის ყოველდღიურად) ინფორმაციას, რომელთა ქართული ენის ფლობის დონე დაბალია (შესაბამისად, ინდექსის საშუალო მაჩვენებლებია 10.32, 9.59 და 10.48). (ISSA, 2019); 41.“

აღნიშნული კვლევის კიდევ ერთი კომპონენტი კიდევ უფრო კარგად ასახავს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული საინფორმაციო წყაროების გავრცელების პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობები სატელევიზიო არხებს ასახელებენ როგორც ყველაზე პოპულარულ წყაროს თავიანთსავე რეგიონებში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მისაღებად, აზერბაიჯანელების მხოლოდ 35.2% და სომხების მხოლოდ 19.2% იყენებს აღნიშნულ წყაროებს (იქვე).

აღბათ საგულისხმოა ის, რომ იმავე ორგანიზაციის (ISSA) მიერ ჯერ კიდევ 2011 წელს ჩატარებული კვლევაც დაახლოებით მსგავს სურათს იძლეოდა აღნიშნულ რეგიონებში მასმედიის გამოყენებასთან დაკავშირებით. კვლევაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა, ვკითხულობთ „ეთნიკური უმცირესობები უპირატესობას ანიჭებენ მეზობელი ქვეყნების ტელეარხების საშუალებით მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიღებას“ (ISSA, 2011:25).

ეს კი ცხადყოფს, რომ მიუხედავად 8-წლიანი შუალედისა, უშუალოდ ქვემო ქართლში კომპაქტურად დასახლებული საქართველოს აზერბაიჯანელი და სომეხი მოქალაქეებისათვის ინფორმაციის მიწოდების არხები და ხარისხი დიდად არ შეცვლილა. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა, მოეხდინა თავისი მოქალაქეების ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვა, წლების შემდეგაც, დიდწილად, მხოლოდ ფურცელზე დაწერილ ვალდებულებად რჩება.

საქართველო არის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებათა უმეტესობის ხელმომწერი, რომლებიც უზრუნველყოფენ აზრისა და გამოხატვის თავისუფლების გარანტიებს ქვეყნის თითოეული მოქალაქისათვის, მათ შორის იმათთვისაც, ვისთვისაც ქართული ენა მშობლიური ენა არ არის. აკერლუნდი (2012) თავის კვლევაში მოკლედ მიმოიხილავს იმ კონკრეტულ დოკუმენტებს, რომელთა ფარგლებშიც, ქვეყანას აღებული აქვს ვალდებულება, რომ უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია და სრულფასოვანი ჩართულობა. ასეთია, მაგალითად, ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ. აღნიშნული კონვენციის მე-9 მუხლი ცალსახად საუბრობს იმ ვალდებულებებზე, რომლის შესრულებაც ქვეყანას ეკისრება მედიის მიმართულებით:

„მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყოველი იმ პირის გამოხატვის თავისუფლების უფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს თავისუფლებას, გააჩნდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად, მხარეები მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიის მათთვის ხელმისაწვდომობის მხრივ.“

აკერლუნდი (2012) ასევე გამოყოფს რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიას, რომელსაც საქართველო 1999 წელს შეუერთდა და რომლის რატიფიცირებაც 2000 წელს უნდა მოეხდინა, თუმცა ამ დრომდე არ მოუხდენია. აღნიშნული დოკუმენტი ცალსახა მითითებებს იძლევა ხელმომწერი მხარეებისათვის მედიის სფეროში უმცირესობათა ენების ხელშესაწყობად. მე-11 თავში ვკითხულობთ:

ა) იმის გათვალისწინებით, რომ რადიო და ტელევიზია ემსახურებიან საჯარო საქმეს [მხარეებმა უნდა]:

- i. უზრუნველყონ სულ მცირე ერთი რადიო სადგურისა და სატელევიზიო არხის შექმნა რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე; ან

- ii. წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ სულ მცირე ერთი რადიო სადგურისა და ერთი სატელევიზიო არხის შექმნას რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე; ან
- iii. სათანადოდ უზრუნველყონ, რომ ტელე-რადიო მაუწყებლობამ წარმოადგინოს პროგრამები რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე;

კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისა და უმცირესობათა ენების გამოყენებას შეეხება ტელერადიო მაუწყებლობაში გახლავთ 2003 წელს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ მიღებული რეკომენდაციები. ეუთოს რეკომენდაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანების უფლებას მიიღონ, მოიძიონ და გადასცენ ინფორმაცია მათთვის სასურველ ენებზე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. გარდა ამისა, მასში ხაზგასმულია მშობლიური ენის ტელე-რადიო-მაუწყებლობაში გამოყენების გზით ადამიანთა თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების უფლება. დოკუმენტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ შეიმუშაონ და განახორციელონ სათანადო პოლიტიკა ქვეყნის ტერიტორიებზე მცხოვრები უმცირესობათა ჯგუფების თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. თუმცა, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მე-2 თავის მე-7 და მე-8 მუხლები, სადაც ეუთო აღნიშნავს:

„7) სახელმწიფო პოლიტიკა მხარს უნდა უჭერდეს საზოგადოებრივ მაუწყებლობას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საინფორმაციო, საგანმანათლებლო, კულტურული და გასართობი პროგრამების ფართო წრეს, მათ შორის ეროვნულ უმცირესობას განკუთვნილი პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. სახელმწიფოებმა მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინონ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შექმნან ფინანსური, ტექნიკური და სხვა საჭირო პირობა საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

8) სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ეროვნულ უმცირესობას განკუთვნილ პირებს ტელე-რადიო-მაუწყებლობის საკუთარ ენაზე შექმნასა და ფუნქციონირებაში.“

გარდა საერთაშორისო ვალდებულებებისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით ეროვნული უმცირესობების სათანადო ინფორმირებულობაზე საუბრობს საქართველოს

კანონი მაუწყებლობის შესახებ, სადაც მე-16 მუხლში საზოგადოებრივი მაუწყებლობის შინაარსობრივ ვალდებულებებთან დაკავშირებით ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ინსტიტუცია ვალდებულია, “სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები”.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მიღებული 2018-21 წლების პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტი აღნიშნავს, რომ ორგანიზაციისათვის ერთ-ერთი სამოქმედო პრიორიტეტია საყოველთაო წვდომა და საყოველთაო მომსახურება. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ:

„მრავალფეროვანი აუდიტორიის, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე აუდიტორიის მომსახურება. ამ მიზნით პროდუქცია და ხარჯები უნდა განაწილდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მომსახურებისთვის, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, შშმ პირების, რეგიონის მოსახლეობის მომსახურებისთვის.“

2.1 თანაბრად ემსახურება სხვადასხვა სამომხმარებლო ქცევის მსხვილ სოციალურ ჯგუფებს (სოციოლოგიური კვლევებით დადგენილი მსხვილი ჯგუფები).“

შესაბამისად, საერთაშორისო, ადგილობრივი თუ შიდა ინსტიტუციურ დოკუმენტებზე დაყრდნობით ცალსახაა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს განსაკუთრებული როლი აკისრია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების, მათ ინტეგრაციაში ჩართულობისა და მათი ზოგადი რეპრეზენტაციის თვალსაზრისით. აღნიშნულ ვალდებულებას საზოგადოებრივი მაუწყებელი, რა თქმა უნდა, აღიარებს და წლების მანძილზე იგი სხვადასხვა სტრატეგიით პასუხობდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე შესაძლებელია დაკვირვება იმაზე, თუ როგორ ართმევენ თავს საზოგადოებრივი მაუწყებლები დაკისრებულ მოვალეობას, რომ თავიანთ ქვეყნებში მცხოვრები უმცირესობების ინფორმირებულობის მაღალ დონეს მიაღწიონ. როგორც წესი, მკვლევრები გამოჰყოფენ სამ სხვადასხვა კატეგორიას როდესაც საუბარია უმცირესობათა ენების ტელე-რადიო სივრცეში წარმოდგენაზე (McGonagle, Noll & Price, 2004). პირველ კატეგორიაში ხვდება ქვეყნები, სადაც ეთნიკური და ენობრივი სიჭრელე ისტორიული

მოცემულობაა, მაგალითად ბელგიაში. მეორე ტიპის ქვეყნებში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, უმცირესობათა ენებთან დაკავშირებული პოლიტიკა გასული ორი ათწლეულის მანძილზე ჩამოყალიბდა საბოლოოდ. ხოლო მესამე ტიპის ქვეყნებში, სადაც საქართველოც მოიაზრება, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხდება ოფიციალური ენის ლინგვისტური იერარქიის გამყარება, რის ხარჯზეც უმცირესობათა ენების დაცვასა და განვითარებას ტელე-რადიო სივრცეში შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. აღნიშნული კატეგორიის ქვეყნებში მედიაში უმცირესობათა ენებთან დაკავშირებული პოლიტიკა განსხვავებულია.

მაგალითად, კანადაში, გარდა ინგლისურ და ფრანგულ ენაზე მაუწყებელი კანადის სამაუწყებლო კორპორაციისა (CBC), ასევე არსებობს მკვიდრ ენებზე მომუშავე საზოგადოებრივ ტელევიზიათა ქსელი (APTN), რომელიც 1999 წლიდან მოყოლებული საეთერო ბადის 28%-ს კანადის ტერიტორიებზე მცხოვრები მკვიდრი ხალხების 15 ენაზე მაუწყებლობს. რაც შეეხება CBC-ს, იგი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში საეთერო დროის გარკვეულ ნაწილს უთმობს მკვიდრ ხალხთა ენებზე მაუწყებლობას, რომლის მოცულობაც წლის მანძილზე ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობის მიხედვით იცვლება (Obijiofor, 2011). სამხრეთ აფრიკაში კი, სადაც 11 ენას აქვს სახელმწიფო ენის სტატუსი, სამხრეთ აფრიკის სამაუწყებლო კორპორაციის (SABC) ფარგლებში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული მაუწყებლობს TV2 და TV3, რომლებიც სოტოსა და ნგუნის ენებზე მაუწყებლობენ, ხოლო TV1-ის საეთერო ბადის ნახევარი ინგლისურენოვანია, 50% კი აფრიკანსის ენაზეა (იქვე). საგულისხმოა ასევე ავსტრიის გამოცდილებაც, სადაც 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ადგილობრივი საზოგადოებრივი მაუწყებელი ORF ტელევიზიისა თუ რადიოს მეშვეობით რამდენიმე ენაზე გადასცემდა ყოველკვირეულ თუ ყოველთვიურ გადაცემებს სხვადასხვა ენაზე მაგალითად, უნგრულად, სლოვენურად და ჩეხურად.

ზოგადად, თითოეულ ქვეყანაში ეთნიკური ჯგუფებისათვის მათ ენაზე მაუწყებლობის მასშტაბების განსაზღვრა დიდწილად არის დამოკიდებული უშუალოდ ამ ქვეყანაში არსებულ კონტექსტზე. მაიკ კორმაკი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა თეორიული ჩარჩო უმცირესობათა ენებზე მედიების საჭიროებების შესახებ გამოყოფს სხვადასხვა ფაქტორს, რომლებიც განსაზღვრავს უმცირესობათა ენებზე მედიების არსებობის საჭიროებას. ეს

ფაქტორები შეიძლება იყოს ეთნიკური ჯგუფის მოცულობა, ერთგვარი კამპანიის არსებობა იმისათვის, რომ უმცირესობების მედია შეიქმნას, ლიდერობისა და ორგანიზების რესურსები აღნიშნულ ჯგუფებში (მაგალითად, მედიის მართვისა და მედიაში მუშაობის მხრივ), ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური კულტურა, მთავრობის ცენტრალიზაციის დონე, ენის სიმბოლური სტატუსი (რომელიც დაკავშირებულია ეროვნული იდენტობის შესახებ არსებულ დისკურსებზე) და ბოლოს, საერთაშორისო წნეხი თუ ტენდენციები (Cormack, 1998).

აქედან გამომდინარე, ცხადია, ზემოთ მოყვანილი ქვეყნების მაგალითები შეუძლებელია გავიგოთ როგორც ერთგვარი თარგები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ქართულ რეალობაში სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი მოსახელობისათვის მედია კონტენტის წარმოება. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ ქვეყნები კვლავაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ხელი მიუწვდებოდეთ ხარისხიან ინფორმაციაზე მშობლიურ ენაზე, რათა ისინი არ აღმოჩნდნენ ერთგვარ უთანასწორო მდგომარეობაში, როდესაც საუბარია ჩართულობაზე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

რას აკეთებს საზოგადოებრივი მაუწყებელი ეთნიკური უმცირესობებისთვის?

2009 წლამდე, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი მხოლოდ კვირაში ერთხელ გადასცემდა 26-წუთიან პროგრამას 5 ენაზე, მათ შორის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი რადიო გადასცემდა 5-წუთიან ყოველდღიურ და 20-წუთიან ყოველკვირეულ საინფორმაციო გამოშვებებს (აკერლუნდი, 2012). 2010 წლიდან ეს შეიცვალა და დღეში ორჯერ 12-წუთიანი საინფორმაციო დაიჯესტები გადიოდა სომხურად, აზერბაიჯანულად, აფხაზურად და ოსურად ნათარგმნი, თუმცა არა პრაიმ-ტაიმში, როდესაც ყველაზე მეტი ადამიანი უყურებდა ტელევიზორს (იქვე). ახალი ამბების მოკლე მიმოხილვა ოთხივე ენაზე ასევე გადაიცემოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხზეც, თუმცა აღნიშნული არხის სიგნალი მთელ საქართველოზე არ ვრცელდებოდა.

2012 წლის შემდგომ, არხზე კვლავაც სხვადასხვა კონფიგურაციით ხდებოდა უმცირესობათა ენებზე საინფორმაციო გამოშვებების გავრცელება, თუმცა სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც 2017 წელს ტელევიზიაში ახალი მენეჯმენტი მოვიდა, რომელმაც საზოგადოებრივი მაუწყებლის უფრო მეტად მულტიმედიურ ორგანიზაციად გარდაქმნაზე გაამახვილა ყურადღება. ამასთანავე, რამდენიმე წლით ადრე, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება ზოგადად ქვეყანაში ტელე-რადიო მაუწყებლობის გავრცელების შესახებ და 2015 წელს საქართველო საბოლოოდ გადავიდა ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე.

როგორც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)-ისათვის გაგზავნილ წერილშია აღნიშნული, „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინფორმირებულობის, მათი მედია სივრცეში ინტეგრირების, მათზე და მათთვის გასაგებ ენაზე მედია პროდუქციის მომზადების მიზნით, შეიქმნა ჯგუფი „მრავალფეროვანი საქართველო“. საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯგუფ „მრავალფეროვანი საქართველო“ ამოცანაა საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობა, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ყოველდღიურობაში მათი ჩართულობა და მაუწყებლის წარმოებულ მედიაპროდუქტებში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრირების საკითხი.“

აღნიშნული მიზნების შესასრულებლად მაუწყებელი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს:

- 1) პირველი არხის ვებ-გვერდი საინფორმაციო სააგენტოს პრინციპით მუშაობს 7 ენაზე (ქართულ, აფხაზურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე);
- 2) დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება მოამბე 21:00 საათზე სინქრონულად ითარგმნება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომლის მიღებაც მომხმარებლებს სათანადო დეკოდერის (ე.წ სექ-ტოპ ბოქსების) მეშვეობით შეუძლიათ;
- 3) მუშაობს ინტერნეტ რადიო და ინტერნეტ ტელევიზია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- 4) მზადდება საინფორმაციო გამოშვებები სომხური და აზერბაიჯანული ინტერნეტ ტელევიზიისათვის, რომელიც დღეში რამდენჯერმე გადის;
- 5) მზადდება გასართობი, კულტურული, შემეცნებითი და საბავშვო გადაცემები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველ არხზე და პირველი რადიოს ეთერით დრო და დრო ამზადებს გადაცემებს ეთნიკური უმცირესობების შესახებ, რაც ჩვენი კვლევის მიზნებს სცდება და რის შესახებაც დაწვრილებით აქ არ ვისაუბრებთ.

გარდა თავად ორგანიზაციის მიერ 2019 წელს მოწოდებული ინფორმაციისა, უნდა აღინიშნოს ორი პროექტი, რომელიც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობისა და ინტეგრაციისათვის მზადდება, ეს გახლავთ ტელე-სკოლა და [„ჩვენი ქართული ენა“](#). ტელე-სკოლა, რომელის საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხზე გადის მიზნად ისახავს კორონავირუსის გამო შეწყვეტილი სასკოლო პროცესის ერთგვარ გაგრძელებას სახლებიდან. 2020 წლის აპრილის თვიდან აღნიშნული სერვისით სარგებლობა შეუძლიათ აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსწავლეებსაც. თუკი აღნიშნულ მოსწავლეებს მანამდე მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილებისათვის შეეძლოთ ყურება, აპრილის შემდეგ მათ შესაძლებლობა აქვთ, რომ ჩვეულებრივ საგნობრივ გაკვეთილებსაც უყურონ თავიანთ მშობლიურ ენებზე. რაც შეეხება პროექტს „ჩვენი ქართული ენა“, ეს გახლავთ პირველი არხის ახალი პროექტი სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლის მიზანიც არის ქართული ენის პოპულარიზება და ეთნიკურ უმცირესობებში მისი სწავლების გაძლიერება.

2020 წლის 29 მარტს, პირველი არხის საკვირაო გადაცემა „ახალ კვირაში“ პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ ხელმძღვანელმა რამილია ალიევამ ისაუბრა პირველი არხის საქმიანობაზე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების შესახებ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობისა, ალიევას თქმით, მომხმარებლებს ასევე შეუძლიათ საკომუნიკაციო აპლიკაცია ვოთსაპის (whatsapp) მეშვეობით მიიღონ ინფორმაცია დღის მანძილზე.

„დღევანდელ დღეს, როდესაც საგანგებო სიტუაცია შეიქმნა და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩვენმა თანამოქალაქეებმა მიიღონ ინფორმაცია, ჩვენ გავზარდეთ საინფორმაციო გამოშვებების რაოდენობა და მოცულობა. დღეს, უკვე საქართველოს პირველი არხი ამზადებს თავის ონლაინ პლატფორმაზე, რომელიც არის ცალ-ცალკე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, ეს არის 24-საათიანი ონლაინ მაუწყებლობა, ამ მაუწყებლობაში გადის 4-ჯერ მოამბე აზერბაიჯანულ ენაზე, 4-ჯერ სომხურ ენაზე, ასევე გვაქვს მთავარი საინფორმაციო გამშვების, 21:00 საათზე მოამბის სინქრონული თარგმანი სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე... ჩვენ ვცდილობთ, რომ ყველა თანამედროვე ტექნოლოგიით ვისარგებლოთ და ამ შემთხვევაში ერთ-ერთი ხერხი, რომლითაც ახალ ამბებს ვავრცელებთ ეს არის ვოთსაპი, გვაქვს ცალ-ცალკე ვოთსაპი აზერბაიჯანული და სომხურენოვანი მკითხველისათვის,“ - აღნიშნა ალიევამ გადაცემაში.

როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის EMC-ისთან კომუნიკაციიდან და პროექტ მრავალფეროვანი საქართველოს ხელმძღვანელის კომენტარიდანაც ჩანს, საზოგადოებრივი მაუწყებელი გაცილებით უფრო მეტ რესურსს მიმართავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის ინტერნეტით მიწოდებისათვის. ხოლო ტელევიზიის შემთხვევაში, ერთადერთი რისი მიღებაც საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე მოსაუბრე მოქალაქეებს შეუძლიათ, ეს გახლავთ მთავარი საინფორმაციო გამოშვების სინქრონული თარგმანი.

როგორც Freedom House-ის 2019 წლის ანგარიში აღნიშნავს, საქართველოში ინტერნეტ და მობილური ინტერნეტ გამოწერების რაოდენობა იზრდება, თუმცა სერვისის მაღალი

საფასური, ინფრასტრუქტურასთან და ინტერნეტის სიჩქარესთან დაკავშირებული პრობლემები კვლავაც გამოწვევად რჩება ქვეყნისათვის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით (Freedomhouse.org, 2019). საქართველოში ინტერნეტით დაფარვა მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემებით 63%-მდე იყო (The World Bank, 2018). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2019 წლისათვის შიდა მეურნეობის 80%-ზე ნაკლებს ჰქონდა წვდომა ინტერნეტზე (Geostat 2019), ხოლო უშუალოდ ქვემო ქართლში ინტერნეტ-პენეტრაციის დონე ეროვნული კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით 60,5%-ია¹. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ლეგიტიმურია დაისვას შეკითხვა, თუ რატომ გადაწყვიტა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რომ პრიორიტეტი ინტერნეტ მაუწყებლობისათვის მიენიჭებინა, მაშინ, როდესაც კვლევებით დასტურდება, რომ ტელევიზია ამ რეგიონებში წამყვან საინფორმაციო წყაროდ სახელდება (ISSA, 2019).

გარდა ამისა, კვლევის წინა პერიოდში ჩატარებული ინტერვიუების დროს ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეები აღნიშნავდნენ, რომ რეგიონებში, სადაც დაბალია ქართული ენის ცოდნა, ასევე დაბალია ინტერნეტის ინფორმაციის მისაღებად მოხმარება და იგი ძირითადად ინტერპერსონალური კომუნიკაციის ანდა გართობისთვის გამოიყენება. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი კი ხანში შესულია და საერთოდ არ იცის ინტერნეტის მოხმარება. შესაბამისად, გაურკვეველია თუ რაზე დაყრდნობით გადაწყვიტა საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, რომ ტელემაუწყებლობის ნაცვლად არაქართულენოვან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ინფორმაციის მიღება ინტერნეტით ურჩევნია და შესაბამისად კანონით ნაკისრ ვალდებულებას ასე უკეთ შეასრულებდა.

ამასთან, სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან ინტერნეტ-ტელევიზიით გასული საინფორმაციო გამოშვებების უმეტესობა თავისი ქრონომეტრაჟით უმეტესწილად არ აღემატება 3-დან 10 წუთამდე ვიდეოებს და როგორც წესი, YouTube-ზე აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებების ნახვების საერთო რაოდენობა იშვიათად აჭარბებს 2000 ნახვას და ხშირად გაცილებით ნაკლებია (იხ. პირველი არხის [YouTube](#)-ის სომხურენოვანი არხი, აზერბაიჯანულენოვანი [YouTube](#) არხი).

¹ <https://analytics.comcom.ge/en/statistics-share/?c=internet&f=subscribers&exp=penetrationbyregion&sid=757691>

გარდა ინტერნეტის ხელმისაწვდომობასა და მოხმარების ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემებისა, რესპონდენტები ასევე საუბრობდნენ სირთულეებზე, რომელიც ქვემო ქართლის რეგიონში ციფრული დეკოდერების გამოყენებასთანაა დაკავშირებული. იქიდან გამომდინარე, რომ პირველ არხზე მთელი დღის განმავლობაში გადაცემები მხოლოდ ქართულ ენაზე გადის, მაყურებლებში ჩვევის გაჩენა, რომ ზუსტად სადამოს 9 საათზე ტელევიზორი პირველ არხზე გადართონ და საინფორმაციო გამოშვება თავიანთ მშობლიურ ენაზე ნახონ, დამატებით ძალისხმევას მოითხოვს მათგან. მაშინ, როდესაც მათ უკვე შეუძლიათ თავიანთ მშობლიურ (სომხურ ან აზერბაიჯანულ) ანდა რუსულ ენაზე ნახონ გადაცემები აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ტელეარხებზე. ამ პირობებში, კიდევ უფრო რთული ხდება მაყურებლებში აღნიშნული ჩვევის გამომუშავება.

ეს ყველაფერი კი მიუთითებს იმაზე, რომ სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას სრულყოფილად, რამდენადაც მოსახლეობის ეს ნაწილი კვლავაც არაქართულენოვანი ტელევიზიების მაყურებლად რჩება, ინფორმაციის მიღების უმთავრეს წყაროდ ინტერნეტის ქცევას კი ალბათ კიდევ არაერთი წელი დასჭირდება. საქმეს ართულებს არხზე მიმდინარე ხშირი სტრუქტურული თუ ტექნიკური ცვლილებები ეთნიკური უმცირესობის ენებთან დაკავშირებითაც, რის გამოც, მას ერთგული მაყურებლის შენარჩუნება უჭირს მოსახლეობის ამ ნაწილში. საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკა ამ კუთხით კვლავაც ქაოტურია, რისი კარგი მაგალითიც იყო კორონავირუსის პერიოდში ეთნიკური უმცირესობებისათვის პირველი არხის მუშაობა, რაზეც მომდევნო ქვეთავში ვისაუბრებთ.

უმცირესობათა ენებზე პირველი არხის მუშაობა კორონავირუსის გავრცელების პერიოდში

ჩვენ მიერ ჩატარებული ერთთვიანი მედიამონიტორინგის პერიოდში დაკვირვებამ აჩვენა, რომ პირველ არხზე გასული ინფორმაცია სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისათვის იყო დაგვიანებული, მისი მიწოდება არ იყო ორგანიზებული ისე, რომ რაც შეიძლება ფართო აუდიტორიამდე მისულიყო, ხოლო თავად გავრცელებული ინფორმაცია იყო მოკლე, მშრალი, არა სიღრმისეული და არა განახლებადი.

მონიტორინგის შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ 2020 წლის 23 მარტამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში საერთოდ არ გასულა ცნობები აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღსანიშნავია, რომ არხი საგანგებო მუშაობის რეჟიმზე ჯერ კიდევ 11 მარტს გადავიდა, რის გამოც ნაწილობრივ შეიცვალა არხის მუშაობის სტრუქტურა, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ტელე-სკოლად გარდაქმნა დაიწყო. 9 მარტიდან 23 მარტამდე საინფორმაციო გამოშვებებში გასულ ინტერვიუებში, კადრ-სინქრონებსა და სიუჟეტებში თითქმის არ ყოფილა საუბარი ეთნიკურ უმცირესობებზე, არ მომხდარა ინფორმაციის რაიმე ფორმით თარგმნა თუ სპეციალიზებული ფორმით მიწოდება. შესაბამისად, პირველი არხიდან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, რომლებიც ქართულად ვერ საუბრობენ, არ ჰქონდათ პანდემიასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების საშუალება და ამისათვის ან პირველი არხის ვებ-პორტალი უნდა გამოეყენებინათ ანდა 21:00 საათიანი გამოშვების სინქრონული თარგმანი.

ეთნიკური უმცირესობების ენაზე პირველი დამატება საინფორმაციო გამოშვებებში 2020 წლის 23 მარტს გავიდა, მას შემდეგ, რაც შიდა გავრცელების შემთხვევა უკვე იყო დაფიქსირებული ეთნიკურად სომხებითა და აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. ამ დღიდან მოყოლებული კი, რამდენიმე დღის გამოტოვებით, თითქმის ყოველ დღე, საინფორმაციო გამოშვება „მომბეში“ გადიოდა რამდენიმეწუთიანი დამატება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნული დამატებები წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ მოკლე მიმოხილვას თავდაპირველად ბოლნისსა და მარნეულში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და ეპიდსიტუაციის შესახებ. მოგვიანებით კი, მას შემდეგ, რაც მთელ ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შესაბამისად დაწესდა სპეციალური რეჟიმი, სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას მიეწოდა განახლებული ინფორმაცია. სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი დამატებების ქრონომეტრაჟი დაახლოებით 3-დან 8 წუთამდე მერყეობდა.

აღნიშნული დამატებები „მომბეში“ არასტრუქტურირებულად იყო წარმოდგენილი და ზოგჯერ საინფორმაციო გამოშვების შუაში გადიოდა, ზოგჯერ კი საინფორმაციო გამოშვებების დასასრულს. გარდა ამისა, ზოგიერთ დღეს ან ზოგიერთ გამოშვებაში საერთოდ

არ მომხდარა ინფორმაციის აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე მიწოდება. მაგალითად, 27 მარტს, სალამოს გამოშვებაში არ გასულა დამატებები, ისევე როგორც 28 მარტს 18:00 და 21:00 საათიან გამოშვებებში. 29 მარტს საერთოდ არც ერთ გამოშვებაში არ გასულა ენობრივი დამატებები, ხოლო 30 მარტს მხოლოდ სალამოს გამოშვებაში მოხვდა იგი ეთერში. შესაბამისად, წარმოუდგენელია, რომ ეთნიკურად არაქართველ მოქალაქეებს წინასწარ სცოდნოდათ თუ როდის უნდა შეეხედათ საინფორმაციო გამოშვებისათვის, რათა ეპიდსიტუაციისა და საგანგებო მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეღოთ საკუთარ ენაზე.

გარდა ამისა, ინფორმაცია ძირითადად მეორდებოდა და არ ახლდებოდა სათანადოდ. მაგალითად, 23 და 24 მარტს ყველა გამოშვებაში ერთი და იგივე, წინასწარ ჩაწერილი, მოკლე ვიდეომიმართვა გავიდა. შესაბამისად, თუკი მოქალაქე რომელიმე დღეს 15:00 საათიან გამოშვებაში ნახავდა აღნიშნულ დამატებას უმცირესობების ენებზე, მას აღარ მოუხდებოდა შემდგომი გამოშვებების ყურება, ხოლო თუკი მაინც ნახავდა, ისევე იმავე ინფორმაციას მიიღებდა და შესაბამისად, აზრი ეკარგებოდა ერთი და იმავე ინფორმაციის ეთერში ტრიალს.

პრობლემას წარმოადგენდა თავად გავრცელებული ინფორმაციის სიმწირე და არასიღრმისეულობაც. ინფორმაცია მაყურებელს მიეწოდებოდა ძირითადად ეპიდსიტუაციის სტატისტიკურ მონაცემებზე, მგზავრობა-გადაადგილებასა და შეკრებაზე, ასევე ეკონომიკურ საქმიანობაზე დადგენილ შეზღუდვებზე, სწავლების პროცესის შეწყვეტასა თუ საგანგებო ფორმით გაგრძელებაზე და ა.შ. თუმცა, ეს ყოველივე მოწოდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ განცხადებების სახით და მას არ ერთვოდა სათანადო ვიზუალური მასალა, რაც ინფორმაციას უკეთ აღსაქმელსა და უფრო საინტერესოს გახდიდა.

ამგვარად, პირველი არხის მიერ მონიტორინგის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია იყო, უპირველეს ყოვლისა, დაგვიანებული. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში შესაძლოა საერთოდ აღარ არსებობდეს ამ არხზე ტელევიზორის გადმორთვის ჩვევა და გაუგებარია, როგორ უნდა მიეღწია რამდენიმეწუთიან ენობრივ დამატებებს მაყურებლამდე, რომელიც ამ დროს შესაძლოა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ტელეარხებს უყურებდეს. ხოლო გადმორთვის შემთხვევაში, მას უნდა სცოდნოდა ზუსტად რომელ გამოშვებაში, ზუსტად რა დროს

გავიდოდა აღნიშნული დამატებები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაყურებელი როგორმე მოხვდებოდა პირველ არხზე ზუსტად იმ დროს, როდესაც ეთერში გადიოდა სომხურენოვანი ან აზერბაიჯანულენოვანი დამატებები, იგი მიიღებდა ან უკვე მოსმენილ არააქტუალურ და რამდენჯერმე გამეორებულ მასალას ანდა მოკლე, მშრალ, ვიზუალურად ღარიბ საინფორმაციო ტექსტს, რომელსაც ერთგვარი მოკლე ბროშურის ფუნქცია ჰქონდა, ნაცვლად ახალი ამბებისა.

დასკვნა

ცალსახად დასაფასებელია ის შრომა, რომელსაც „მრავალფეროვანი საქართველოს“ პროექტში ჩართული ჟურნალისტები თუ აქტივისტები სწევნ, თუმცა კორონავირუსის დროს პირველი არხის მუშაობამ აჩვენა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან სათანადოდ გააზრებული, შორ პერსპექტივაზე გათვლილი პოლიტიკის არარსებობამ შესაძლოა წყალში ჩაყაროს ამ არხის მიერ გაღებული რესურსები და აქ ნახსენები ადამიანების შრომა. პანდემიის დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობამ აჩვენა, რომ ინსტიტუცია, რომლის საფუძველშიც საზოგადოებრიობის, საჯარო სიკეთის იდეა დევს, მხოლოდ მრავალფეროვნების ფორმალურ რეპრეზენტაციისა და პროგრამული პრიორიტეტების ფორმალური შესრულებისაკენ კი არ უნდა ისწრაფოდეს, არამედ საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეაში ჩადებული უნივერსალურობის, საყოველთაობისა და განსაკუთრებულობის პრინციპისაკენ. სწორედ ამ პრინციპებისაკენ სწრაფვა გახდიდა შესაძლებელს, რომ არ მოხდეს ინფორმაციის პლაკატური, ქაოტური და არაეფექტური მიწოდება და ენობრივი ბარიერის მქონე მოქალაქეების კვალავაც ინფორმაციულ პერიფერიად დატოვება.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია ფინანსდება არა მხოლოდ ქართულ ენაზე მოსაუბრე საქართველოს მოქალაქეების მიერ გაღებული გადასახადებით, არამედ იმ ადამიანების გადასახადებითაც, ვისთვისაც შესაძლოა ქართული არ იყოს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ენა. ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან სეგმენტს არ აქვს საშუალება, რომ ყველაზე პოპულარული მედიუმის მეშვეობით მიიღოს სათანადო ინფორმაცია საკუთარ ენაზე, გარდა იმისა რომ ქმნის სირთულეებს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ

კულტურული ინტეგრაციისთვის, ასევე უსამართლო და უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს მათ დანარჩენ მოქალაქეებთან მიმართებაში. სწორედ უსამართლობისა და უთანასწორობის არგუმენტი გახდა გადამწყვეტი, მაგალითად, ახალ ზელანდიაში 1989 წელს მაუწყებლობის აქტის მიღებისას. ქვეყანაში, სადაც მკვიდრი მაორის ხალხები მოსახლეობის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენენ, ათწლეულების მანძილზე მათ არ ჰქონდათ საშუალება, რომ თავიანთ ენაზე მიეღოთ სატელევიზიო პროგრამები საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც ისევე იღებდნენ მონაწილეობას მაუწყებლის გადასახადებიდან დაფინანსებაში, როგორც ახალი ზელანდიის ინგლისურენოვანი მოსახელობა. მკვიდრი ხალხების ბრძოლამ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე შედეგი გამოიღო 1989 წლის მაუწყებლობის აქტის სახით, რომელმაც შექმნა იმის გარანტიები, რომ სალიცენზიო გადასახადიდან შესული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარებოდა მაორის ენისა და კულტურის პოპულარიზებასა და დაცვას მაუწყებლობის მეშვეობით (Browne, 2007).

წინამდებარე კვლევის შეზღუდვებიდან გამომდინარე, თავისთავად, რთულია ერთთვისანი მონიტორინგის შედეგების განზოგადება. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნულ კვლევაში დოკუმენტირებული პერიოდი ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს, რამდენადაც საუბარია საგანგებო მდგომარეობაზე და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით არსებულ საყოველთაო კრიზისზე. კრიზისულ პერიოდშიც კი, როდესაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონები ჩაკეტილი იყო, არაქართულენოვან მოსახლეობას არ ჰქონია საშუალება, რომ დამატებითი ძალისხმევის გაღების გარეშე მიეღოთ სრულყოფილი ინფორმაცია საფრთხეზე, რომელიც მათ ჯანმრთელობას, ეკონომიკურ თუ მენტალურ კეთილდღეობას ემუქრებოდა. მათ შორის არც იმ ინსტიტუციისგან, რომლის დაფინანსებაშიც თავადაც იღებენ მონაწილეობას. კიდევ უფრო საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არაკრიზისულ პერიოდში მოსახლეობის ეს ნაწილი კიდევ უფრო ნაკლებად პრიორიტეტულია და მათ ინფორმირებულობაზე კიდევ უფრო ნაკლები ძალისხმევა იხარჯება ხოლმე.

შესაბამისად, გონივრული იქნებოდა თუკი ქართული სახელმწიფო საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულების ფორმალური შესრულების ნაცვლად, კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდა არაქართულენოვან მოსახლეობას ინფორმაციულობის დონის

ასამაღლებლად. მათ შორის, შესაძლებელია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მათი მორგება ადგილობრივ კონტექსტზე, რაც შექმნიდა იმის შესაძლებლობას, რომ ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის გამოყოფილი ფინანსების სათანადო გადანაწილებით უფრო თანასწორად მომხდარიყო მოსახლეობის ყველა სეგმენტის ინფორმირებულობაზე პასუხისმგებლობის აღება, არა მხოლოდ კრიზისულ პერიოდებში, არამედ ქვეყნის ჩვეული ცხოვრების პირობებშიც.

თავის მხრივ, ასევე ლოგიკური იქნებოდა, თუკი საზოგადოებრივი მაუწყებელი თავად ეთნიკური უმცირესობების ჩართულობითა და კვლევაზე დაფუძნებით მოახდენდა იმის გამორკვევას თუ რომელი მედიუმით ურჩევნიათ მოქალაქეების ცალკეულ ჯგუფს ინფორმაციის მიღება, ნაცვლად ცალმხრივი გადაწყვეტილებისა, რომ პრიორიტეტი ინტერნეტ პლატფორმებს მიენიჭოს. სწორედ ამგვარი კვლევა გახდის შესაძლებელს, რომ საქართველოს აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოსახლეობის სათანადო ინფორმირებისათვის ელემენტარული პირობები შეიქმნას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ არსებული მოდელის შენარჩუნების პირობებში არაქართულენოვან მოსახლეობას ჰქონდეს საშუალება, საკუთარ ენაზე ნათარგმნი უფრო მეტი პროგრამა ნახოს, მთავარი საინფორმაციო გამოშვების გარდა. განსაკუთრებით ისეთ დროს, როდესაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხრივ საყოველთაო საფრთხის წინაშეა ქვეყნის უკლებლივ ყველა მოქალაქე. მხოლოდ მთავარი საინფორმაციო გამოშვებისა და რამდენიმე წელიწადში ერთხელ საარჩევნო დებატების თარგმნით, ინტერნეტ პლატფორმების მუშაობითა და რამდენიმე დამატებითი პროექტის განხორციელებით (მაგ. „ტელე სკოლა“ „ჩვენი ქართული ენა“) აღნიშნული ინსტიტუცია მხოლოდ ნაწილობრივ და ფორმალურად ასრულებს იმ მოვალეობას, რომელსაც მას კანონი ავალდებულებს და რომლის შესრულებაზე პასუხისმგებლობაც საკუთარი პროგრამული პრიორიტეტებით აქვს აღებული. აღნიშნული პრიორიტეტების სათანადოდ შესრულებისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, იდეური გარდატეხაა საჭირო, რომელიც შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი მაუწყებლის როგორც ყველას, საყოველთაო სიკეთის აღქმას, ნაცვლად მრავალფეროვნებასა და მულტიკულტურალიზმზე ფორმალური და გაუაზრებელი აქცენტირებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

Akerlund, T. (2012). #52: National Minorities and the Media Situation in Georgia - European Centre for Minority Issues (ECMI). Retrieved 28 May 2020, from <https://www.ecmi.de/publications/ecmi-research-papers/52-national-minorities-and-the-media-situation-in-georgia>

Anon. Freedom on the Net 2019. (2019). Retrieved 5 June 2020, from <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-net/2019?fbclid=IwAR2bkdEJqBxRBAD69Z95fuFw8nFEqwGYOKK70-zOZ7r6bj7TveMqXJkz8VA#A>

Anon. Individuals using the Internet (% of population). (2018). Retrieved 5 June 2020, from <https://data.worldbank.org/indicator/IT.NET.USER.ZS?locations=GE>

Arriaza Ibarra, K., Nowak, E., & Kuhn, R. (2015). Public service media in Europe. Abingdon: Routledge.

Browne, D. (2007). Speaking Up: A Brief History of Minority Languages and the Electronic Media Worldwide. In M. Cormack & N. Hourigan, *Minority Language Media Concepts, Critiques and Case Studies*. Multilingual Matters Limited.

Cormack, M., & Hourigan, N. (2007). *Minority Language Media: Concepts, Critiques and Case Studies* (Multilingual Matters Series). Multilingual Matters Limited.

Gross, C., Essien, U., Pasha, S., Gross, J., Wang, S., & Nunez-Smith, M. (2020). Racial and Ethnic Disparities in Population Level Covid-19 Mortality. doi: 10.1101/2020.05.07.20094250

Horsti, K., Hulten, G., & Titley, G. (2014). *National Conversations: Public Service Media and Cultural Diversity in Europe*. Bristol, UK: Intellect Ltd.

McGonagle, T., Noll, B., & Price, M. (2004). *Minority-Language Related Broadcasting and Legislation in the OSCE*. Organization for Security and Co-operation in Europe.

Minority Language Media in Western Europe. *European Journal Of Communication*, 13(1), 33-52. doi: 10.1177/0267323198013001002

Murdock, G. (2004). *Building the Digital Commons. Public Broadcasting in the Age of the Internet*. Lecture, University of Montreal.

Obijiofor, L. (2011). "Public Service Broadcasting and Language Development: A Summary Report on the Situation in Five Countries". UNESCO. Retrieved from

http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CI/CI/pdf/public_service_bradcasting_and_language_development_levi_obijiofor.pdf

Office of the High Commissioner on National Minorities. (2003). Guidelines on the use of minority languages in the broadcast media. The Hague. <https://www.osce.org/hcnm/32310>

Price, M., & Raboy, M. (2011). Public Service Broadcasting in Transition: A Documentary Reader. Center for Global Communication Studies.

Riggins, S. (1992). Ethnic Minority Media: An International Perspective (p. 3). Newbury Park, Calif: Sage Books.

The Council of Europe. (1995). Framework Convention for the Protection of National Minorities. Strasbourg. <https://rm.coe.int/16800c10cf>

White, C., & Nafilyan, V. (2020). Coronavirus (COVID-19) related deaths by ethnic group, England and Wales - Office for National Statistics. Retrieved 28 May 2020, from <https://www.ons.gov.uk/peoplepopulationandcommunity/birthsdeathsandmarriages/deaths/articles/coronavirusrelateddeathsbyethnicgroupenglandandwales/2march2020to10april2020#ethnic-breakdown-of-deaths-by-age-and-sex>

ევროპის საბჭო. (1992). ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ. სტრასბურგი. <https://rm.coe.int/1680301f0f>;

მამედლი, ე. (2020). წერილი უმრავლესობას: რა მოხდა ბოლნისში, სოფელ დელლერში (მუშევანში). Retrieved 9 July 2020, from https://publika.ge/blog/werili-umravlesobas-ramokhda-bolnisshi-sofel-dellershi-mushevanshi/?fbclid=IwAR0lO7kJJbGmGvb_h77DElgbadc_a7l_D1eo94Otm26GE3Heo1vq5iIz_yw

მარნეული და ბოლნისი ჩაიკეტა. (2020). Retrieved 9 July 2020, from <https://www.radiotavisupleba.ge/a/30503518.html>

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტები - 1TV. (2020). Retrieved 9 July 2020, from <https://1tv.ge/document/sazogadoebrivi-mauwyebli-2018-2021-wlebis-programuli-prioritetebi/>

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA). (2011). ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა. თბილისი.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA). (2019). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა. თბილისი: ISSA, OSGF.

ქევანიშვილი, ე. (2020). ის, რაც მარნეულს და ბოლნისს გვაშორებს: „უთანასწორობისა და რასიზმის ღრმა და უჩინარი ხაზები“. Retrieved 9 July 2020, from <https://bit.ly/2BJjtSI>

